დმანისის მუნიციპალიტეტი

დმანისი-ბედიანის გზიდან სოფ. კიზილაჯლოს გზის მოასფალტების
(დაგარახლო-იფნარის გავლით) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ქ. დმანისი - 2015 წელი

შინაარსი

- ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის;
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და პირობები;
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ინფორმაცია
ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების შესაბამისად (http://procurement.gov.ge/).

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და პირობები

1. შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება,	**გან.ერთ**	**ნორმ. ერთ**	**რაოდენ.**
1	2	3	4	5
1	არსებული ამორტიზებული ასფალტის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და მისი გატანა ნაყარში 5 კმ-ზე	კვ.მ		325
2	სანიაღვრე მილის მოწყობისათვის გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ.მ		2,4
3	d=300მმ სანიაღვრე მილის მონტაჟი პკ-34+40	გრძ.მ		7
4	d=300მმ სანიაღვრე მილების ღირებულება	გრძ.მ		7
5	ბეტონის საფუძვლის მოწყობა B-25 მარკიანი ბეტონისაგან სისქით 10 სმ.	კუბ.მ		0,2
6	გზის სავალი ნაწილის გაფხვიერება და მოსწორება გრეიდერით (3000X5=15000)	კვ.მ		15000
7	გზის სავალი ნაწილის მოსწორება ქვიშა -ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ გრეიდერით და დატკეპნა თვითმავალი პნევმოსატკეპნით (3000X5X0,1)=1500კუბ.მ	კუბ.მ		1500
	- ქვიშა -ხრეშოვანი ნარევი ტრანსპორტირებით	კუბ.მ	1,22	1830
8	წვრილმარცლოვანი ხრეშის საფუძველის საფუძვლის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ სისქით 7 სმ.გრეიდერით და დატკეპნა თვითმავალი პნევმოსატკეპნით (3000X5X0,007=1050კუბ.მ)	კუბ.მ		1050
	- წვრილმარცლოვანი ხრეში ტრანსპორტირებით	კუბ.მ	1,22	1281
9	საფუძველის ზედა ფენაზე თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.6კგ/მ^2	ტ		9,000
	ბიტუმი (ემულსია)	ტ	1,03	9,27
10	წვრილმარცლოვანი ასფალტობეტონის გზა საფარის მოწყობა სისქით 5 სმ	კვ.მ		15000
	–ასფალტობეტონის შეძენა და ტრანსპორტირება 60კმ-ზე (97.4+12.1*2)/1000=0.1216	ტ	0,1216	1824,00
11	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს გზის მთელ სიგრძეზე ექსკავატორით	კუბ.მ		1440
12	საავტომობილო გზის ორივე მხარეს კიუვეტში გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ.მ		130
13	კიუვეტსა და საავტომობილო გზას შორის 1 მ-იანი ზოლის მოწყობა გზის ორივე მხარეს ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით და მოტკეპნით	გრძ.მ		6000

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 120 (ასოცი) კალენდარული დღე.

3. ანგარიშსწორების პირობები:

❖ სატენდერო წინადადების საერთო ფასი უნდა მოიცავდეს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

❖ ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

❖ ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

❖ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10% შეჩერდება ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე.

❖ საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დასკვნის გაცემიდან 30 დღის განმავლობაში. (საექსპერტო მოსახურების ხარჯებს დაფარავს მიმწოდებელი).

4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ზე მეტით ფასდაკლების შემთხვევაში:

5.1. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი

მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე (600000 ლარი), შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში,პრეტენდენტი ვალდებულია ფასწარმოქმნის ადეკვატორობა და ხარჯთაღრიცხვის ხარისხთან შესაბამისობა დაასაბუთოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით (საექსპერტო მომსახურების ხარჯებს დაფარავს პრეტენდენტი).

5.2 ტექნიკური დავალების 5.1პუნქტში განხილული ფაქტის დადგომის შემთხვევაში,ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ (ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში) მაგრამ აუცილებლად ტენდერისათვის ,,გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსის მინიჭება-მდე,სატენდერო კომისიისმიერ პრეტენდენტს განესაზღვრება ვადა, (მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ოდენობით - ზუსტ თარიღს განსაზღვრავს სატენდერო კომისია და აცნობებს პრეტენდენტს) ტექნიკური დავალების 5.1 პუქნტშიოთხოვნილი დასკნის სისტემის მეშვეობით წარმოსადგენად.

5.3 დასკვნის დედნის წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს დაუდგება ხელშეკრულებისგაფორმების მომენტისათვის (ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში) და დედანი რჩება შემსყიდველთან.

5.4 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.

5.5 დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის (შეუსაბამობა სატენდეროგანცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერწარმოდგენილ ტექნიკურ/დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან), წარმოდგენა გამოიწვევესპრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით განხორციელებული სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოების მიღების მიზნით საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 ივლისის №186 ბრძანებით შეიქმნილ კომისიასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

6. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით განხორციელებული სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოების მიღების მიზნით საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 ივლისის №186 ბრძანებით შეიქმნილ კომისიასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

7. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ბოლო ორი წლის მანძილზე სამუშაო გამოცდილება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო სატენდერო ღირებულების არანაკლებ 25%-ი ერთჯერადად (საავტომობილო გზებისა და ქალაქის ქუჩების ასფალტირება) შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოებზე. აღნიშნულის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი №4-ის შესაბამისად) - ხელშეკრულებ(ები)ა სამუშაოთა შესრულების მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ით, უნდა აიტვირთოს სისტემაში.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკომენდაცია შემსყიდველი ორგანიზაციიდან ბოლო შესრულებული სამუშაოს შესახებ.

9. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

10.ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. (ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადას).

11.დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 03 თებერვლის №121 განკარგულება, - ცვლილება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულება -ში).

12. სამუშაოების საგარანტიო ვადაა ობიექტის ჩაბარებიდან 2 (ორი) კალენდრული წელი. ამ პერიოდის განმავლობაში ყველა გამოვლენილ ხარვეზს ან ნაკლის აღმოფხვრა ევალება მიმწოდებელს.

13. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს სტატუსის: „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“ მინიჭებამდე.

14. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი

ავტომატურად გამოხატავს თანხმობას "შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და პირობები"-ს 2-12 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

პრეტენდენტ(ებ)მა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები (შევსებული სრულყოფილად ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ):

- რეკვიზიტები - დანართი №1 შესაბამისად;
- შესყიდვის ობიექტის ხარჯთაღრიცხვა - დანართი №2 შესაბამისად;
- სამუშაოთა შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი - დანართი №3 შესაბამისად;
- ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ რომელიც, უნდა მოიცავდეს ბოლო ორი წლის მანძილზე სამუშაო გამოცდილება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო სატენდერო ღირებულების არანაკლებ 25%-ი ერთჯერადად (საავტომობილო გზებისა და ქალაქის ქუჩების ასფალტირება) შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოებზე. - დანართი №4 შესაბამისად;
- პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებ(ები)ა სამუშაოთა შესრულების მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ით) დანართი №4 შესაბამისად;

დანართი №1

1.	ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა	
2.	მომსახურე ბანკი	
3.	ბანკის კოდი	
4.	ანგარიშის ნომერი	

_____ (თანამდებობა, სახელი, გვარი)

_____ (ხელმოწერა)

დანართი №2

	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება,	განზომ. ერთ	ნორმ. ერთ	რაოდენ.	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		ჯამი
					ერთ ღირ	სულ	ერთ ღირ	სულ	ერთ ღირ	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	არსებული ამორტიზებული ასფალტის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და მისი გატანა ნაყარში 5 კმ-ზე	კვ.მ		325							
2	სანიაღვრე მილის მოწყობისათვის გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ.მ		2,4							
3	d=300მმ სანიაღვრე მილის მონტაჟი პკ-34+40	გრძ.მ		7							
4	d=300მმ სანიაღვრე მილების ღირებულება	გრძ.მ		7							
5	ბეტონის საფუძვლის მოწყობა B-25 მარკიანი ბეტონისაგან სისქით 10 სმ.	კუბ.მ		0,2							
6	გზის სავალი ნაწილის გაფხვიერება და მოსწორება გრეიდერით (3000X5=15000)	კვ.მ		15000							

7	გზის სავალი ნაწილის მოსწორება ქვიშა -ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ გრეიდერით და დატკეპნა თვითმავალი პნევმოსატკეპნით (3000X5X0,1)=1500კუბ.მ	კუბ.მ		1500							
	- ქვიშა -ხრეშოვანი ნარევი ტრანსპორტირებით	კუბ.მ	1,22	1830							
8	წვრილმარცლოვანი ხრეშის საფუძველის საფუძვლის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ სისქით 7 სმ.გრეიდერით და დატკეპნა თვითმავალი პნევმოსატკეპნით (3000X5X0,007=1050კუბ.მ)	კუბ.მ		1050							
	- წვრილმარცლოვანი ხრეში ტრანსპორტირებით	კუბ.მ	1,22	1281							
9	საფუძველის ზედა ფენაზე თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.6კგ/მ^2	ტ		9,000							
	ბიტუმი (ემულსია)	ტ	1,03	9,27							
10	წვრილმარცლოვანი ასფალტობეტონის გზა საფარის მოწყობა სისქით 5 სმ	კვ.მ		15000							
	–ასფალტობეტონის შეძენა და ტრანსპორტირება 60კმ-ზე (97.4+12.1*2)/1000=0.1216	ტ	0,1216	1824,00							
11	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს გზის მთელ სიგრძეზე ექსკავატორით	კუბ.მ		1440							
12	საავტომობილო გზის ორივე მხარეს კიუვეტში გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ.მ		130							
13	კიუვეტსა და საავტომობილო გზას შორის 1 მ-იანი ზოლის მოწყობა გზის ორივე მხარეს ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით და მოტკეპნით	გრძ.მ		6000							
	ჯამი:										**0**
	ზედნადები ხარჯები __%										**0**
	ჯამი										**0**
	გეგმიური დაგროვება __%										**0**
	ჯამი:										**0**
	გაუთვალისწინებელი ხარჯები __%										**0**
	ჯამი:										**0**
	დღგ 18%										**0**
	ჯამი:										**0**

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	1-10 დღე	11-20 დღე	21-30 დღე	31-40 დღე	41-50 დღე	51-60 დღე	61-70 დღე	71-80 დღე	81-90 დღე	91-100 დღე	101-110 დღე	111-120 დღე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
დმანისის მუნიციპალიტეტში სოფელ კიზილაჯლომდე მისასვლელი საავტომობილო გზის მშენებლობის ხარჯთღრიცხვა (3000,00მ)															
1	არსებული ამორტიზებული ასფალტის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელე ბზე და მისი გატანა ნაყარში 5 კმ-ზე	კვ.მ	325												
2	სანიაღვრე მილის მოწყობისათვის გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ.მ	2,4												
3	d=300მმ სანიაღვრე მილის მონტაჟი პკ-34+40	გრძ.მ	7												
4	d=300მმ სანიაღვრე მილების ღირებულება	გრძ.მ	7												
5	ბეტონის საფუძვლის მოწყობა B-25 მარკიანი ბეტონისაგან სისქით 10 სმ.	კუბ.მ	0,2												
6	გზის სავალი ნაწილის გაფხვიერება და მოსწორება გრეიდერით (3000X5=15000)	კვ.მ	15000												
7	გზის სავალი ნაწილის მოსწორება ქვიშა -ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ გრეიდერით და დატკეპნა თვითმავალი პნევმოსატკეპნით (3000X5X0,1)=1500კუბ.მ	კუბ.მ	1500												
	- ქვიშა -ხრეშოვანი ნარევი ტრანსპორტირებით	კუბ.მ	1830												

8	წვრილმარცლოვანი ხრეშის საფუძველის საფუძვლის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარის ქვეშ სისქით 7 სმ.გრეიდერით და დატკეპნა თვითმავალი პნევმოსატკეპნით (3000X5X0,007=1050 კუბ.მ)	კუბ.მ	1050												
	წვრილმარცლოვანი ხრეში ტრანსპორტირებით	კუბ.მ	1281												
9	საფუძვლის ზედა ფენაზე თხევადი ბითუმის მოსხმა 0.6კგ/მ^2	ტ	9												
	ბიტუმი(ემულსია)	ტ	9,27												
10	წვრილმარცლოვანი ასფალტობეტონის გზა საფარის მოწყობა სისქით 5 სმ	კვ.მ	15000												
	_ასფალტობეტონის შეძენა და ტრანსპორტირება 60კმ-ზე (97.4+12.1*2)/1000=0.1216	ტ	1824												
11	ღია სანიაღვრე არხის მოწყობა გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს გზის მთელ სიგრძეზე ექსკავატორით	კუბ.მ	1440												
12	საავტომობილო გზის ორივე მხარეს კიუვეტში გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ.მ	130												
13	კიუვეტსა და საავტომობილო გზას შორის 1 მ-იანი ზოლის მოწყობა გზის ორივე მხარეს ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით და მოტკეპნით	გრძ.მ	6000												

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

№	**დამკვეთი ორგანიზაციის დასახელება**	**სამუშაოთა შესრულების ვადა (დაწყება - დასრულება)**	**ხელშეკრულების ღირებულება**
1.			
2.			
3.			
...			

***** დანართი №4 წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ბოლო ორი წლის მანძილზე სამუშაო გამოცდილებას შესყიდვის ობიექტის სავარაუდო სატენდერო ღირებულების არანაკლებ 25%-ი ერთჯერადად (საავტომობილო გზებისა და ქალაქის ქუჩების ასფალტირება) შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოებზე. აღნიშნულის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი №4-ის შესაბამისად) - ხელშეკრულებ(ები)ა სამუშაოთა შესრულების მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ით, უნდა აიტვირთოს სისტემაში.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

პროექტი

ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. დმანისი **---- ---------- 2015 წელი**

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებელის გოგი ბარბაქაძის სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA---------- გამარტივებული **ელექტონული ტენედერის** ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5."მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და პირობები" - SPA--------- გამარტივებული ელექტონული ტენედერის სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და პირობები, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ. კიზილაჯლომდე მისასვლელი გზის მოასფალტების (იფნარის გავლით) სარეაბილიტავიო სამუშაოების შესყიდვა (CPV -45200000).

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს აღწერა მოცემულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრებში და პირობებში.

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ------- (----------) ლარს, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

4.2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი (საქართველოს მთავრობის განკარგულება საქართველოს მთავრობის განკარგულება №121, 03.02.2015 წ.)

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება 5.2 პუნქტის შესრულებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.
5.4. შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10% შეჩერდება ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე.
5.5. საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დასკვნის გაცემიდან 30 დღის განმავლობაში. (საექსპერტო მოსახურების ხარჯებს დაფარავს შემსყიდველი).

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. შესყიდვის ობიექტის ან მისი ეტაპის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.3. შემსყიდველის მხრიდან ნაწილილობრივ (ეტაპობრივ) მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია ----------.
6.4. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით განხორციელებული სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოების მიღების მიზნით გამგებელის 2014 წლის 30 ივლისის №186 ბრძანებით შეიქმნილ კომისიასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

7. სამუშაოს შესრულების პირობები

7.1. სამუშაოს დასრულების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 120 (ასოცი) კალენდარული დღე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:
8.1.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.1.2.სამუშაოების შესრულების პროცესში აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოების წარმოშობის შესახებ;
8.1.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
8.1.4.წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების აქტს.
8.3.მიმწოდებელი ვალდებულია:
8.3.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.3.2.სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალიხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;
8.3.3.სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.3.4.სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.4.1.მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, მოქმედებს ---------- (ხელშეკრულების გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას).

9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივი დაბრუნება.

10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

10.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს ---------- .

10.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.

10.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც

გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოსდაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმამხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთიგარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არმიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან დამოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

16.2. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

17. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	---------- მის.: ---------- საიდენტიფიკაცო კოდი: ---------- საბანკო რეკვიზიტები: ---------- ---------- ბანკის კოდი: ---------- ანგარიშის ნომერი: ---------- ტელ.: ----------

დმანისის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

_____ **გოგი ბარბაქაძე** _____

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სატენდერო კომისიის აპარატში: ტელ. 0(360) 22 11 53; ელ.ფოსტა: tenderidmanisi@gmail.com